ოქმი:**ო02. 3724029001**
თარიღი:**29/01/2024**

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2024 წელი, 26 იანვარი
ქ.ოზურგეთი
12.30-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, გ. შილაკაძე, ტ. აროშიძე, ალ. ღლონტი, ნ. სარჯველაძე, დ. მდინარაძე, გ. სირაძე, თ. ტუღუში, ვლ. ხავთასი, ლ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი (2025-2027 წლები) განვითარების დოკუმენტის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: ნანა მელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, მისი შემუშავებისა და განხორციელების მნიშვნელობაზე, უფრო ვრცლად და კონკრეტულად დოკუმენტი კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა ნ. მელაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დოკუმენტის შემუშავების პროცესზე და მის მნიშვნელობაზე მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარებისათვის. დოკუმენტის გაცნობის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრმა ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა ძირითად დოკუმენტს თან ხლებოდა დოკუმენტი, რომელიც დააკონკრეტებდა თუ რა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება იგეგმება. ასევე დააყენა საკითხი გრუნტის წყლების სარწყავად გამოყენების მნიშვნელობაზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი